

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის

ოქმი № 13

ქ. თბილისი

17 მარტი, 2017 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ჯემალ მაგანია – აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი;
2. ნინო ქოჩაკიძე – პროფესორი;
3. გიორგი ზუბიტაშვილი – პროფესორი;
4. ა. ხვედელიძე – ასოცირებული პროფესორი;
5. დავით ხაჩიძე – ასოცირებული პროფესორი;
6. ედუარდ ფეროიანი – ასოცირებული პროფესორი;
7. ი. დოლაბერიძე – ასოცირებული პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარე: ჯ. მაგანია

საბჭოს მდივანი: ნ. ქოჩაკიძე

დღის წესრიგი:

1. 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა – დამტკიცება;
2. 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრისთვის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო სარგოს დამტკიცების შესახებ;
3. 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის ადმინისტრაციული პერსონალის საშტატო ნუსხისა და სახელფასო სარგოს დამტკიცების შესახებ;
4. სასწავლო უნივერსიტეტში მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურებისა და ტარიფების განსაზღვრის შესახებ;
5. ზამთრის საგამოცდო სესიების შედეგები (დეკანები);
6. თურქეთის ქალაქ ტარსუსში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სტუდენტების სტაჟირების შესახებ;
7. უნივერსიტეტის განვითარების გეგმაზე მომუშავე კომისიის შექმნა;
8. ქეთევან ხაზარაძისა, კახაბერ ხვედელიძისა და ვახტანგ ლუაშვილის სახელმძღვანელოსა და მეთოდური რეკომენდაციების განხილვა და შემდგომი მსვლელობის შესახებ;
9. სხვადასხვა.

მოისმინეს: 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება.

2017 წლის ბიუჯეტი საბჭოს წევრებს გააცნო უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ჯ. მაგანიამ (თან ერთვის ოქმს, დანართი 1).

დაადგინეს: 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო სარგოს დამტკიცების შესახებ.

მოხსენება გააკეთა რექტორმა, ჯ. მაგანიამ. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ორივე ფაკულტეტზე დაემატა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ახალი სასწავლო დისციპლინები, რამაც განაპირობა აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო სარგოს შესაბამისობაში მოყვანა.

დაადგინეს: 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო სარგო დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

მოისმინეს: 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის ადმინისტრაციული პერსონალის საშტატო ნუსხისა და სახელფასო სარგოს დამტკიცების შესახებ საბჭოს მოახსენა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ჯ. მაგანიამ. მოხსენება თან ერთვის ოქმს (დანართი №3).

დაადგინეს: 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის ადმინისტრაციული პერსონალის საშტატო ნუსხა და სახელფასო სარგო დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: სასწავლო უნივერსიტეტში მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურებისა და ტარიფების განსაზღვრის შესახებ საბჭოს განუმარტა უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა პროფ. ჯ. მაგანიამ.

დაადგინეს: სასწავლო უნივერსიტეტში მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების ტარიფი განისაზღვროს დადგენილი წესის შესაბამისად.

მოისმინეს: ზამთრის საგამოცდო სესიების შედეგების შესახებ. საბჭოს ინფორმაცია მიაწოდეს მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანმა პროფ. ტ. გულბიანმა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. გ. ფარულავამ. მოხსენება თან ერთვის ოქმს (დანართი 4 და დანართი 5).

დაადგინეს: ზამთრის საგამოცდო სესიების შედეგები ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

მოისმინეს: პროფ. გ. ფარულავას მოხსენება თურქეთის ქალაქ ტარსუსში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სტუდენტების სტაჟირების შესახებ (დანართი 6).

დაადგინეს: თურქეთის ქალაქ ტარსუსში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სტუდენტების სტაჟირება გაგრძელდეს და მსურველებს შორის შეირჩეს შესაფერისი კანდიდატურები.

მოისმინეს: უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ჯ. მაგანიას მოხსენება უნივერსიტეტის განვითარების გეგმაზე მომუშავე კომისიის შექმნის შესახებ. უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ჯ. მაგანიამ საბჭოს წევრებს გააცნო ინვესტორების მიერ შემოთავაზებული უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი. შემდეგ საბჭოს წარუდგინა კომისიის შემადგენლობა ვლადიმერ ბოჟაძის(თავმჯდომარე), მერაბ მეტრეველის, ტრისტან გულბიანის, გიორგი ფარულავას და თამაზ თევზაძის შემადგენლობით

დაადგინეს: შემოთავაზებული უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი მოწონებულ იქნას. დამტკიცდეს რექტორის მიერ წარმოდგენილი საბჭოს წევრები და დაევალოს მას საკითხის შემდგომი მსვლელობისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. დაევალოს ვ. ბოჟაძეს აღნიშნული კომისიის მიერ განხორციელებული სამუშაოს ანგარიში წარმოადგინოს მომავალ საბჭოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქეთევან ხარაძის, კახაბერ ხვედელიძისა და ვახტანგ ლუაშვილის სახელმძღვანელოსა და მეთოდური რეკომენდაციების მოკლე მიმოხილვა. მოხსენება გააკეთა პროფ. ჯ. მაგანიამ. მან აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოც და მეთოდური რეკომენდაციებიც მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული ნაშრომებია.

დაადგინეს: ქ. ხარაძის, კ. ხვედელიძისა და ვ. ლუაშვილის სახელმძღვანელო და მეთოდური რეკომენდაცია დამტკიცებულ იქნას.

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი:



ჯემალ მაგანია

სხდომის მდივანი, პროფესორი:

ნინო ქოჩაკიძე